საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

17 დეკემბერი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

მოსამართლე — მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

დისციპლინური საქმე №86/18-2

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გასული ინფორმაციის საფუძველზე, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად 2018 წლის 15 ნოემბერს მომზადებული №86/18-2 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 17 დეკემბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა შემდეგ გარემოებებზე:

2018 წლის -- თვეში მოსამართლე -- -- სხვადასხვა ტელევიზიებისთვის მიცემულ ინტერვიუებში საუბრობდა -- საქალაქო სასამართლოს -- -- -- მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას შესაძლო დარღვევების შესახებ, რაზეც მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასება კომპეტენციის ფარგლებში - დისციპლინური კუთხით.

2. წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. მოსამართლე -- -- მოსამართლე -- -- შესახებ:

,, . . . გამოსცა ბრძანება, რისი გამოცემის უფლებაც არ ჰქონდა, რითაც დამევალა მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება, რითაც გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას“ - -- ტელევიზია, --.

2.2. მოსამართლე -- -- მოსამართლე -- -- შესახებ:
,, . . . პირველი მომენტი იყო ის, რომ მე დანიშნული ვიყავი -- საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ და დამევალა -- სამართლის კოლეგიაში საქმეების განხილვა, ბუნებრივია ეს იყო ჩემთვის პრობლემა, იმიტომ რომ კანონთან არ იყო შესაბამისობაში, მე შევეცადე, რომ ეს ყველაფერი ყოფილიყო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, მაგრამ ისე მიიღო ეს გადაწყვეტილება, რომ ჩემთვის არ უთქვამს მქონდა თუ არა სურვილი -- სამართლის საქმეების განხილვის, მე რომ ამის სურვილი არ მქონდა იქიდანაც ჩანდა, რომ მე რომ კონკურსში ვიღებდი მონაწილეობას -- სამართლის კოლეგია საერთოდ არ მქონდა მითითებული“ - ტელეკომპანია --, --.

2.3. მოსამართლე -- -- მოსამართლე -- -- შესახებ:

,, . . . მე ვუთხარი, რომ ნომრების მითითებით დაეწერა -- სამართლის საქმეები, რაზეც მან უარი განმიცხადა, მითხრა რომ არანაირი პრობლემა არ იქნებოდა, რადგან -- იყო მისი -- და ჰყავდა -- --“ - ტელეკომპანია --, --.

2.4. მოსამართლე -- -- სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემებში სიცრუეს უწოდებს მოსამართლე -- -- მხრიდან მისი მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს.

2.5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის 25 დეკემბრის 1/-- გადაწყვეტილებით, -- -- გამწესდა -- საქალაქო სასამართლოს -- საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე, -- წლის -- დან.

-- საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის -- წლის -- #- ბრძანების თანახმად, -- საქალაქო სასამართლოში -- სამართლის საქმეთა სიმრავლის გამო, ასევე -- სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- სხვა სასამართლოში გადასვლის გამო (რომელსაც წარმოებაში ჰქონდა 140 ერთეული -- სამართლის საქმე), მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, -- საქალაქო სასამართლოს -- საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- -- წლის --დან იმავდროულად დაევალა -- საქალაქო სასამართლოს -- სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება.

-- საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის -- წლის -- №-- ბრძანების თანახმად, -- საქალაქო სასამართლოს -- მუნიციპალიტეტში შესაბამისი -- სამართლის ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის არარსებობის გამო, ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, -- საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებს -- -- და -- -- დაევალათ -- სამართლის საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება -- საქალაქო სასამართლოს -- მუნიციპალიტეტში.

-- საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ -- -- -- წლის -- №--გ/კ წერილით მიმართა მოსამართლე -- --. წერილის თანახმად, ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებებთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც, იმისთვის, რომ მოსამართლეს დაევალოს საქმის იმავე სასამართლოს სხვა სპეციალიზებულ შემადგენლობაში (სასამართლო კოლეგიაში) განხილვა, აუცილებელი გახდა მისი წერილობითი თანხმობა. აღნიშნული წერილით მოსამართლე -- -- მოთხოვნილია წერილობითი თანხმობა - არის თუ არა თანახმა -- წლის --დან მოსამართლის უფლებამოსილება გააგრძელოს -- სამართლის ან -- საქმეთა კოლეგიაში.

-- წლის -- წერილობითი მომართვის პასუხად, მოსამართლე -- -- თანხმობა გამოთქვა, საჭიროების შემთხვევაში, -- წლის --დან მოსამართლის უფლებამოსილება განახორციელოს -- საქალაქო სასამართლოს -- საქმეთა კოლეგიაში (№--, --).

მოსამართლე -- -- -- წლის -- №-- მოხსენებითი ბარათით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს, რომლითაც მოითხოვა მის წარმოებაში არსებული (მოხსენებით ბარათში ჩამოთვლილი) -- სამართლის საქმეები გადააწეროს სხვა მოსამართლეს, ვინაიდან -- წლის -- დან მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებას გააგრძელებს -- საქმეთა კოლეგიაში.

-- საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის -- წლის -- №-- ბრძანების თანახმად, -- საქალაქო სასამართლოში -- სამართლის საქმეთა სიმრავლის გამო, მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, -- საქალაქო სასამართლოს -- საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- -- წლის --დან იმავდროულად დაევალა -- საქალაქო სასამართლოს -- სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება.

-- საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის -- წლის -- №-- ბრძანების თანახმად, ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტის და ,,საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის

მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს -- წლის -- №-/-- გადაწყვეტილების მე-6 პუნქტის საფუძველზე, -- საქალაქო სასამართლოს -- საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- -- წლის --დან დაევალა -- საქალაქო სასამართლოს -- სამართლის საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება.

-- საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის -- წლის -- №-- ბრძანებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა -- საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის -- წლის -- №-- ბრძანება.

3. საჩივრის (საჩივრების) საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება“. ამასთან, სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს არა მხოლოდ მოსამართლის, არამედ საჯარო მოხელეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს, ისევე როგორც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთათვის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

თუმცა, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლესთან მიმართებაში საკმაოდ რთულია დადგინდეს თუ სად გადის ზღვარი ერთის მხრივ, მოსამართლის სამართლებრივ შეცდომას და მეორეს მხრივ დისციპლინურ გადაცდომას შორის. ვინაიდან, ერთი მხრივ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო მეორეს მხრივ ცალკე დისციპლინურ გადაცდომის სახეს წარმოადგენს მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. ამდენად, უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს მოსამართლის რომელი ქმედება უნდა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად და რომელი სამართლებრივ შეცდომად.

ამ მიმართებით საინტერესოა, სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილება, სადაც პალატამ გააკეთა განმარტება სამართლებრივ შეცდომისა და დისციპლინური გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. სადისციპლინო

პალატის განმარტებით, კანონის შესაბამისი დანაწესი უნდა განიმარტოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის კანონიერების პრინციპის და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვით. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს. სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონის ფარგლებში“. ამდენად, უნდა განიმარტოს, რომ არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსამართლის არასწორი მოქმედება/უმოქმედობა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად თუ ის სცდება მოსამართლისათვის კანონით მინიჭებულ ფარგლებს და არღვევს შესაბამისი კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.

იდენტური დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის და პრაქტიკის (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი) შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რომლის შესაბამისადაც, მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობად ან არაჯეროვნად შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

განსახილველ დისციპლინური საქმეზე შემოწმების საგანი გახდა მოსამართლე -- -- ის საჯარო გამონათქვამები, სადაც იგი საუბრობს მოსამართლე -- -- მხრიდან კანონის დარღვევით მისთვის სხვადასხვა კოლეგიაში უფლებამოსილების დაკისრებაზე.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით იკვეთება შემდეგი, რომ -- -- სამჯერ დააკისრა -- -- მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება იმავდროულად სხვა კოლეგიაში, კერძოდ, პირველად - წერილობითი თანხმობის გარეშე -- სამართლის კოლეგიაში, აგრეთვე მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება -- მუნიციპალიტეტში (---დან), მეორედ - წინასწარი წერილობით თანხმობით, მისი არჩევანის მიხედვით, -- საქმეთა კოლეგიაში (---დან), ხოლო მესამედ - -- საქმეთა კოლეგიაში (---დან - -- -მდე).

მოსამართლე -- -- თვლის, რომ ვინაიდან იგი მოსამართლედ გამწესებულია -- საქალაქო სასამართლოს -- საქმეთა კოლეგიაში, ამიტომ, სასამართლოს თავმჯდომარის მხრიდან მისთვის სხვა კოლეგიაში უფლებამოსილების დაკისრება არ არის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. მოსამართლე -- -- ამგვარი შეფასება არ არის მართებული და შესაბამისად, -- საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მხრიდან რაიმე დარღვევას ადგილი არა აქვს, შემდეგ გარემოებათა გამო:

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტის 2017 წლის 01 ივლისამდე მოქმედი რედაქცია, სასამართლოს თავმჯდომარეს ანიჭებდა უფლებამოსილებას თანხმობის გარეშე დაევალებინა მოსამართლისთვის საქმის იმავე სასამართლოს სხვა სპეციალიზებულ შემადგენლობაში (სასამართლო კოლეგიაში) განხილვა, აგრეთვე მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება, ხოლო მაგისტრატ მოსამართლეს საქმის მისი სამოქმედო ტერიტორიის გარეთ, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში განხილვა.

განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 01 ივლისიდან ამოქმედდა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტის ახალი რედაქცია, რომლითაც თუ მანამდე სასამართლოს თავმჯდომარეს ზემოხსენებული უფლებამოსილების დავალება მოსამართლისთვის შეეძლო მისი თანხმობის გარეშე, ახალი ცვლილებებით უკვე სავალდებულო გახდა მსგავს შემთხვევებში მოსამართლის თანხმობა. განსახილველ შემთხვევაში, მოსამართლე -- -- შესაბამისი თანხმობა გამოთქვა -- წლის --, რის საფუძველზეც, მისი არჩევანის მიხედვით მოხდა იმავე სასამართლოს სხვა სპეციალიზებულ შემადგენლობაში (-- საქმეთა კოლეგიაში) საქმეთა განხილვის დავალება.

აღსანიშნავია, რომ მოსამართლე -- -- მხრიდან -- საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებები კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრებული არ ყოფილა.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით

გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 17 დეკემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტითა და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №86/18-2 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი